MES 0 23 0000221627

24/02/2023

**პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს**
**სხდომის ოქმი**

**ქ. თბილისი**

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილებით დამტკიცებული „პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების“ მე-18 მუხლის მე-9 პუნქტის საფუძველზე პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით **2023წლის 10 თებერვალს 14:00 საათზე**. საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებულ პირს შეეძლო საბჭოს სხდომაზე ონლაინ ჩართვა.

Join Zoom Meeting
https://us02web.zoom.us/j/89525534276?pwd=Yk1qQjFuK0V6UTh6eTY1RkIvQXZVQT09
Meeting ID: 895 2553 4276
Passcode: 066517

საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

**პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს (შემდგომში საბჭო) წევრები:**

**ნინო ბაბალაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელის დირექტორი (საბჭოს თავმჯდომარე);
**ზაირა ბერიძე** - სსკ - საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის პროფესიული განათლების მრჩეველი (საბჭოს წევრი);
**გიორგი გამყრელიძე -** საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ეკონომიკური პოლიტიკის დეპარტამენტის შრომის ბაზრის ანალიზის სამმართველოს მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საბჭოს წევრი);
**თეა გულუა** - გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში, ცოდნის მართვის და ინოვაციების სპეციალისტი (საბჭოს წევრი);

**ნინო ველთაური** - სსიპ - დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს დირექტორი (საბჭოს წევრი);
**მარიამ ნოზაძე** - სსიპ - აწარმოე საქართველოში ადამიანური რესურსების მენეჯერი (საბჭოს წევრი);
**ნინო შუბითიძე** - სსიპ - საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს მსოფლიო ბანკის ეროვნული ინოვაციების ეკოსისტემის პროექტის მონიტორინგის, შეფასების, კვლევისა და ანგარიშგების სპეციალისტი (საბჭოს წევრი);
**ნათია კვიციანი** - მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) პროგრამების ადგილობრივი კოორდინატორი (საბჭოს წევრი);
**მარიკა ზაქარეიშვილი** - გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) პროექტის - ,,კერძო სექტორის ჩართულობა პროფესიული განათლებისა და ტრენინგის სისტემაში სამხრეთ კავკასიაში" ექსპერტი (საბჭოს მდივანი);
**მარიამ შოთაძე** - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის კოლეჯების კოორდინაციის სამმართველოს უფროსი (საბჭოს წევრი).

**სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:**

**ნანი დალაქიშვილი** - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
**ლანა გაჩეჩილაძე** - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
**ქეთევან ციხისელი** - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
**სალომე ქუთათელაძე** - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
**მაყვალა დარსანია** - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
**ლელა კიკნაძე** - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი.

**დაწესებულების წარმომადგენლები:**

**შპს კარტლის აგროსისტემები:**
ლელა გვასალია - კარტლისის აკადემიის ხელმძღვანელი,
მაია ხურცილავა - ხარისხის მართვის სპეციალისტი,
სალომე დოღონაძე - პროფესიული მომზადების პროგრამის „მოცვის ბაღის გაშენება და მოვლა" განმახორციელებელი პირი,
დავით თევზაძე - პროფესიული მომზადების პროგრამის „მოცვის ბაღის გაშენება და მოვლა" განმახორციელებელი პირი,
გიორგი გიორგაძე - პროფესიული მომზადების პროგრამის „ვაზის გაშენება და მოვლა"განმახორციელებელი პირი,
გივი ჩუბინიძე - პროფესიული მომზადების პროგრამის „ვაზის გაშენება და მოვლა" განმახორციელებელი პირი,
ვლადიმერ ბაბუნაშვილი - „ბოსტნეული კულტურის მოყვანა და მოვლა" პროფესიული მომზადების პროგრამის განმახორციელებელი პირი,

მამუკა შაშიაშვილი - „ბოსტნეული კულტურის მოყვანა და მოვლა“ პროფესიული მომზადების პროგრამის განმახორციელებელი პირი.

**სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი:**
ანანო სამსონაძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი,
გიორგი ხარებავა - ადმინისტრაციის ხელმძღვანელი,
ირინა დვალი - ფინანსური სამსახურის ხელმძღვანელი,
გვანცა ნარიმანიძე - პროფესიული პროგრამების კოორდინატორი,
ანა მურვანიძე - პროფესიული მომზადების პროგრამის „მხატვარ-გრიმიორი“ ხელმძღვანელი,
ანა კალატოზიშვილი - პროფესიული გადაზადების პროგრამის „თეატრალური კოსტუმების მკერავი“ ხელმძღვანელი.
ავთანდილ ჩაჩავა - პროფესიული მომზადების პროგრამის „მხატვარ-დეკორატორი“ ხელმძღვანელი.

**პროფესიული მომზადების პროგრამებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების დარგის ექსპერტები:**

ალექსანდრე ჩალათაშვილი,
ნიკოლოზ კიკნაველიძე,
თეონა ვაშაკიძე,
ნინო გზირიშვილი.

საბჭოს სხდომა დაიწყო 14:03 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარე მიესალმა საბჭოს წევრებს, დაწესებულებების და ცენტრის წარმომადგენლებს და შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა, დაადგინა: რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი, ,,პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ - საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების (შემდგომში №131 დადგენილება) მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, შეუდგეს მუშაობას. თავმჯდომარემ ასევე შეახსენა საბჭოს წევრებს, რომ №131 დადგენილების მე-11 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

მიღებული იქნა საბჭოს მონაწილეთა ერთობლივი ნებართვა საბჭოს სხდომის აუდიო ჩანაწერის წარმოებაზე, რომელიც ოქმის პროექტის შედგენის შემდეგ რეგულაციის მიხედვით, განადგურდება, და ასევე, ნებართვა მონაწილეთა ერთობლივი ფოტოს გადაღებაზე.

შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მონაწილეებს გააცნო სხდომის **დღის წესრიგი**:

1. შპს კარტლის აგროსისტემების „ვაზის გაშენება და მოვლა“ /01503/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;

2. შპს კარტლის აგროსისტემების „ბოსტნეული კულტურის მოყვანა და მოვლა“ /01502/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;
3. შპს კარტლის აგროსისტემების „მოცვის ბაღის გაშენება და მოვლა“ /01504/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;
4. სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის „თეატრალური კოსტუმის მკერავი“ /01518/ - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;
5. სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის „თეატრალური კოსტუმის აქსესუარისა და ქვილთის სპეციალისტი“ /01517/ - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;
6. სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის „მხატვარ-დეკორატორი“ /01321/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;
7. სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის „მხატვარ-გრიმიორი“ /01519/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს სხდომა წარიმართა დღის წესრიგის მიხედვით

**1. შპს კარტლის აგროსისტემების „ვაზის გაშენება და მოვლა“ /01503/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა.**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.
საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა დარგის ექსპერტმა ალექსანდრე ჩალათაშვილმა, მან აღნიშნა, რომ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს (შემდგომში - საბჭო) 2022 წლის 26 დეკემბრის №1652924 ოქმის, ,,შპს კარტლის აგროსისტემების „ვაზის გაშენება და მოვლა“ პროფესიული მომზადების პროგრამის ხარვეზის გამოსასწორებლად ვადის განსაზღვრის შესახებ'' საბჭოს 2022 წლის 26 დეკემბრის №1654230 გადაწყვეტილების საფუძველზე, შპს კარტლის აგროსისტემებმა 2023 წლის 11 იანვარს ელექტრონული სისტემით (qms.eqe.ge) წარმოადგინა განახლებული პროგრამა (განაცხადის ID 01503), სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრის დირექტორის 2023 წლის 16 იანვრის №25848 ბრძანების საფუძველზე, პროფესიული
განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა სალომე ქუთათელაძემ და დარგის ექსპერტმა ალექსანდრე ჩალათაშვილმა შეისწავლეს წარმოდგენილი განახლებული პროგრამა.
ვინაიდან დარგის ექსპერტს ჰქონდა ტენიკური ხარვეზი, პრეზენტაციის წარდგენა გააგრძელა ცენტრის წარმომადგენელმა სალომე ქუთათელაძემ.
სალომე ქუთათელაძემ ისაუბრა დაწესებულების მიერ გამოსწორებულ ხარვეზებთან დაკავშირებით, კერძოდ დასკვნაში დაფიქსირებული იყო ხარვეზი 1.4. და 1.7. ქვესტანდარტებთან მიმართებაში:

**ქვესტანდარტი 1.4.** პროგრამაზე დაშვების წინაპირობები მისაღწევი სწავლის შედეგების ადეკვატურია და უზრუნველყოფს ისეთ მსმენელთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება იძლევა სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას პროგრამის განხორციელების ვადაში.

**ხარვეზი:** პროგრამაზე დაშვების წინაპირობები - მხოლოდ საბაზისო ცოდნა არ იძლევა სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას პროგრამის განხორციელების ვადაში - 5 კვირაში. საჭიროა, გაიზარდოს პროგრამის განხორციელების ხანგრძლივობა, რადგან პროგრამით წარმოდგენილი შედეგების თეორიული საკითხების და პრაქტიკული სამუშაოების (ვაზის ჯიშების შერჩევა-გაშენებით დაწყებული და მოსავლის აღება-დაბინავებით დამთავრებული) 5 კვირიან ვადაში სწავლება არსებული წინაპირობებით შეუძლებელი იქნება.

დაწესებულებამ გამოასწორა ხარვეზი, კერძოდ: პროგრამის განხორციელების ვადად განისაზღვრა 17 კვირა, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები (გასაუბრება/კონკურსი) უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა საბაზისო განათლების სახით უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, პროგრამით წარმოდგენილ ვადებში.

**ქვესტანდარტი 1.7.** პროგრამის ხანგრძლივობა/მოცულობა/მსმენელის სასწავლო დატვირთვა პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ადეკვატურია

**ხარვეზი:** პროგრამის ხანგრძლივობა და მოცულობა არ შეესაბამება მსმენელის კვირეულ სასწავლო დატვირთვას და ვერ უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამის აღწერისას მითითებულია, რომ პროგრამა სეზონურია და ითვალისწინებს სწავლებას გაზაფხულზე ან შემოდგომით. საჭიროა, მეტი დაკონკრეტება. პროგრამის მითითებული ხანგრძლივობიდან გამომდინარე, შედეგები მიიღწევა მხოლოდ პროგრამის წყვეტის გზით. ასეთ შემთხვევაში გაზაფხულზე მიღებული მსმენელი ვენახის საშემოდგომო სამუშაოებს და მოსავლის აღება-დაბინავებას შეისწავლის შემოდგომით. შემოდგომით კი მსმენელის მიღება ვერ განხორციელდება, რადგან შედეგების კვირეული თემატიკების არსებული თანმიმდევრობის დაცვა შეუძლებელი იქნება.

დაწესებულებამ წარმოადგინა პროგრამის კორექტირებული ვერსია, კერძოდ: პროგრამის ხანგრძლივობა და სწავლის შედეგების ფორმულირება - პროფესიული მომზადების პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 17 კვირას, კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა პროგრამის ზოგად ინფორმაციაში მითითებულია 20 საათი, აღნიშნული საათობრივი დატვირთვა პროგრამის შინაარსში ვრცელდება მხოლოდ 3 კვირაზე, დანარჩენ კვირეებში სასწავლო საათობრივი დატვირთვა მერყეობს 5-დან 15-მდე, ჯამში 205 საათი.

ასევე, მან ისაუბრა ვიზიტის დროს გაცემულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ დასკვნაში დაფიქსირებული იყო რეკომენდაცია, კერძოდ,

**ქვესტანდარტი 1.6.** პროგრამის სწავლის შედეგები აღწერილია ცოდნა-გაცნობიერებით, აგრეთვე უნარით ან/და კომპეტენციით.

**რეკომენდაცია:** პროგრამის სწავლის შედეგების დასახელების ფორმულირება ზოგ შემთხვევაში საკმაოდ ვრცელია, მრავალ კომპონენტს მოიცავს და რთულად აღსაქმელია. სასურველია, სწავლის შედეგის დასახელება იყოს უფრო ლაკონური და მარტივად აღსაქმელი.

დაწესებულებამ გაითვალისწინა დარგის ექსპერტის რეკომენდაცია და დააზუსტა სწავლის შედეგები: ვენახში ჩასატარებელ ღონისძიებებთან დაკავშირებული უსაფრთხოება და მისი დაცვა; ვაზის ბიოლოგიური და საწარმოო თავისებურებების დახასიათება და ჯიშების აღწერა; ვენახის გაშენება; ვაზის გამრავლება და სხვლა-ფორმირება; ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლება და ვაზის გამოკვება; ვაზის მავნე ორგანიზმებისა და სტრესული ფაქტორების მართვა; ყურძნის აღება, დახარისხება და პირველადი შენახვა.

პროგრამის სწავლის შედეგები და თემატიკები აღწერილია ცოდნა-გაცნობიერებით, აგრეთვე უნარით და კომპეტენციით, და მსმენელს აძლევს საქმიანობის სფეროს შესაბამის თეორიულ ცოდნას და პრაქტიკულ უნარებს. სწავლის შედეგები თანმიმდევრულია და შეესაბამება ვაზის მოვლის, მოსავლის აღების პრინციპებსა და სამეურნეო-ტექნოლოგიურ პროცესებს.

მან ასევე ისაუბრა პროგრამის პარამეტრებზე და აღნიშნა, რომ პროგრამის ხანგრძლივობა დაწესებულებამ გაზარდა 17 კვირამდე.
პრეზენტაციის ბოლოს სალომე ქუთათელაძემ წარმოადგიან სასწავლო გარემოების ფოტომასალა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს და ექსპერტებს, რომ სამივე პროგრამა წარედგინათ თანმიმდევრობით, ხოლო შემდეგ სამივე საკითხს საბჭო ერთად დააყენებდა კენჭისყრაზე, რაზეც საბჭოს წევრებმა თანხმობა დააფიქსირეს.

**2. შპს კარტლის აგროსისტემების „ბოსტნეული კულტურის მოყვანა და მოვლა“ /01502/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა.**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.
საბჭოს თავმჯდომარემ ნინო ბაბალაშვილმა მიმართა ექსპერტთა ჯგუფს, რომ წარედგინათ საკითხი.
საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა სალომე ქუთათელაძემ, მან აღნიშნა, რომ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს (შემდგომში - საბჭო) 2022 წლის 26 დეკემბრის №1652924 ოქმის, შპს კარტლის აგროსისტემების „ბოსტნეული კულტურის მოყვანა და მოვლა“ პროფესიული მომზადების პროგრამის ხარვეზის გამოსასწორებლად ვადის განსაზღვრის შესახებ'' საბჭოს 2022 წლის 26 დეკემბრის №1654231 გადაწყვეტილების საფუძველზე, შპს კარტლის აგროსისტემებმა 2023 წლის 11 იანვარს ელექტრონული
სისტემით (qms.eqe.ge) წარმოადგინა განახლებული პროგრამა (განაცხადის ID 01502), სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2023 წლის 16 იანვრის №25854 ბრძანების საფუძველზე, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა სალომე ქუთათელაძემ და დარგის ექსპერტმა ნიკოლოზ კიკნაველიძემ შეისწავლეს წარმოდგენილი განახლებული პროგრამა.
სალომე ქუთათელაძემ აღნიშნა, რომ შპს კარტლის აგროსისტემებმა განსაზღვრულ ვადაში წარმოადგინა განახლებული პროფესიული მომზადების პროგრამა ,,ბოსტნეული კულტურის მოყვანა და მოვლა''.
მან ისაუბრა წინა დასკვნაში დაფიქსირებულ ხარვეზებთან დაკავშირებით და დასძინა, რომ წინა დასკვნაში დაფიქსირებული იყო ორი ხარვეზი 1.4 ქვესტანდარტთან მიმართებაში
**ქვესტანდარტი 1.4.** - პროგრამაზე დაშვების წინაპირობები მისაღწევი სწავლის შედეგების ადეკვატურია და უზრუნველყოფს ისეთ მსმენელთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება იძლევა სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას პროგრამის განხორციელების ვადაში
**ხარვეზი:** წარმოდგენილი პროგრამით და დაშვების არსებული წინაპირობებით მითითებულ მცირე დროში (6 კვირიან ვადაში) სწავლის შედეგების მიღწევა მხოლოდ საბაზისო განათლებით შეუძლებელი იქნება. საჭიროა, პროგრამაში დაკონკრეტდეს უშუალოდ ამ ზონისათვის დამახასიათებელი ბოსტნეული კულტურები (მაგ. სასალათე კულტურები, მწვანილი და ა.შ.) ან გაიზარდოს პროგრამის განხორციელების ვადები.

დაწესებულებამ გამოასწორა ხარვეზი, კერძოდ, პროგრამის განხორციელების ვადად განისაზღვრა 13 კვირა, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები

(გასაუბრება/კონკურსი) უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა საბაზისო განათლების სახით უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, პროგრამით წარმოდგენილ ვადებში.

**ქვესტანდარტი 1.7.** - პროგრამის ხანგრძლივობა/მოცულობა/მსმენელის სასწავლო დატვირთვა პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ადეკვატურია

**ხარვეზი:** პროგრამის ხანგრძლივობა და მოცულობა არ შეესაბამება მსმენელის კვირეულ სასწავლო დატვირთვას და ვერ უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. საჭიროა, პროგრამაში დაკონკრეტდეს უშუალოდ ამ ზონისათვის დამახასიათებელი ბოსტნეული კულტურები ან გაიზარდოს პროგრამის განხორციელების ვადები. წინააღმდეგ შემთხვევაში ყველა ძირითადი ბოსტნეული და ბაღჩეული კულტურების სწავლებისას თემატიკით წარმოდგენილი თეორიული საკითხების და პრაქტიკული სამუშაოების 6 კვირიან ვადაში ჩატევა და საფუძვლიანად სწავლება შეუძლებელია და ვერ უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

დაწესებულებამ წარმოადგინა პროგრამის კორექტირებული ვერსია კერძოდ: პროგრამის ხანგრძლივობა და სწავლის შედეგების ფორმულირება - პროფესიული მომზადების პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 13 კვირას, კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა პროგრამის ზოგად ინფორმაციაში მითითებულია 25 საათი, აღნიშნული საათობრივი დატვირთვა პროგრამის შინაარსში ვრცელდება მხოლოდ მე-8 კვირაზე, დანარჩენ კვირეებში სასწავლო საათობრივი დატვირთვა მერყეობს 5-დან 20-მდე, ჯამში 180 საათი.

მან ასევე ისაუბრა დარგის ექსპერტის მიერ გაცემული რეკომენდაციის შესახებ და აღნიშნა, რომ დასკვნაში დაფიქსირებული იყო რეკომენდაცია

**ქვესტანდარტი 1.6.** პროგრამის სწავლის შედეგები აღწერილია ცოდნა-გაცნობიერებით, აგრეთვე უნარით ან/და კომპეტენციით

**რეკომენდაცია:** პროგრამის სწავლის შედეგების დასახელების ფორმულირება ზოგ შემთხვევაში საკმაოდ ვრცელია, მრავალ კომპონენტს მოიცავს და რთულად აღსაქმელია. სასურველია, სწავლის შედეგის დასახელება იყოს უფრო ლაკონური და მარტივად აღსაქმელი.

დაწესებულებამ გაითვალისწინა დარგის ექსპერტის რეკომენდაცია, მოახდინა სწავლის შედეგების ფორმულირება და წარმოადგინა შემდეგი სახით: 1. ბოსტნეული კულტურების მოვლა-მოყვანის ღონისძიებებთან დაკავშირებული უსაფრთხოება და მისი დაცვა; 2. ბოსტნეული კულტურების ბიოლოგიური და საწარმოო თავისებურებების დახასიათება და ჯიშების აღწერა; 3. ბოსტნის გაშენება;

4. ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლება და ბოსტნეული კულტურების გამოკვება; 5. ბოსტნეული კულტურების მავნე ორგანიზმებისა და სტრესული ფაქტორების მართვა; 6. მოსავლის აღება და დახარისხება.

შესაბამისად, აღნიშნული პროგრამის სწავლის შედეგები და თემატიკები აღწერილია ცოდნა-გაცნობიერებით, აგრეთვე უნარით და კომპეტენციით, და მსმენელს აძლევს საქმიანობის სფეროს შესაბამის თეორიულ ცოდნას და პრაქტიკულ უნარებს.

პრეზენტაციის ბოლოს სალომე ქუთათელაძემ წარმოადგიან სასწავლო გარემოების ფოტომასალა.

პრეზენტაციის დასრულების შემდეგ ისაუბრა დარგის ექსპერტმა ნიკოლოზ კიკნაველიძემ, მან აღნიშნა, რომ 13 კვირა სავსებით საკმარისია სწავლებისთვის და შესაძლებელია ბოსტნეული კულტურების მოყვანა, მან დასძინა, რომ ამ პერიოდში მსმენელი დააკვირდება ვეგეტაციის ყველა ფაზას.

**3. შპს კარტლის აგროსისტემების „მოცვის ბაღის გაშენება და მოვლა“ /01504/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა.**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა ლანა გაჩეჩილაძემ, მან აღნიშნა, რომ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს (შემდგომში - საბჭო) 2022 წლის 26 დეკემბრის №1652924 ოქმის, შპს კარტლის აგროსისტემების ,,მოცვის ბაღის გაშენება და მოვლა'' პროფესიული მომზადების პროგრამის ხარვეზის გამოსასწორებლად ვადის განსაზღვრის შესახებ'' საბჭოს 2022 წლის 26 დეკემბრის №1654228 გადაწყვეტილების საფუძველზე, შპს კარტლის აგროსისტემებმა 2023 წლის 11 იანვარს ელექტრონული სისტემით (qms.eqe.ge) წარმოადგინა განახლებული პროგრამა (განაცხადის ID 01504), სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2023 წლის 16 იანვრის №25850 ბრძანების საფუძველზე, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარმა სპეციალისტმა ლანა გაჩეჩილაძემ და დარგის ექსპერტმა ნიკოლოზ კიკნაველიძემ შეისწავლეს წარმოდგენილი განახლებული პროგრამა.

ლანა გაჩეჩილაძემ აღნიშნა, რომ წინა დასკვნაში დაფიქსირებული ხარვეზი გასწორებულია და გათვალისწინებულია რეკომენდაცია.

**ქვესტანდარტი 1.7** - საჭიროა, პროგრამის განხორციელების აგროტექნოლოგიური ვადები ზუსტად განისაზღვროს, წინააღმდეგ შემთხვევაში 5 კვირიან ვადაში ჩატევა და საფუძვლიანად სწავლება შეუძლებელია და ვერ უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

მან დასძინა, რომ განახლებული პროგრამის ხანგრძლივობა 10 კვირაა, საათების სრული რაოდენობა შეადგენს 104 საათს. მაქსიმალური კვირეული დატვირთვა 14 საათია (მხოლოდ მე-3 კვირა), დანარჩენ შემთხვევაში კი კვირეული დატვირთვა 5-დან 12 საათამდე მერყეობს. პროგრამის ხანგრძლივობა/მოცულობა და მსმენელის სასწავლო დატვირთვა პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ადეკვატურია. „მოცვის ბაღის გაშენება და მოვლა“ პროფესიული მომზადების პროგრამის დაშვების წინაპირობაა საბაზო განათლება. აპლიკანტების შერჩევა ხდება გასაუბრების საფუძველზე. სწავლის შედეგები ჩამოყალიბდა ასეთი სახით: 1. მოცვლის ბაღში ჩასატარებელ ღონისძიებებთან დაკავშირებული უსაფრთხოება და მისი დაცვა; 2. მოცვის კულტურების ბიოლოგიური და საწარმოო თავისებურებების დახასიათება და ჯიშების აღწერა; 3. მოცვის ბაღის გაშენება; 4. ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლება და მოცვის გამოკვება; 5. მოცვის სხვლა-ფორმირება; 6. მოცვის ბაღში მცენარეთა მავნე ორგანიზმებისა და სტრესული ფაქტორების მართვა; 7. მოცვის აღება, დახარისხება და პირველადი შენახვა.

მან ისაუბრა ასევე პროგრამის პარამეტრებთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ პროფესიული მომზადების პროგრამის ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონეა მესამე, პროგრამის ხანგრძლივობა - 10 კვირა, მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 40.

პრეზენტაციის ბოლოს ლანა გაჩეჩილაძემ წარმოადგინა სასწავლო გარემოების ფოტომასალა.

პრეზენტაციის დასრულების შემდეგ დარგის ექსპერტმა ნიკოლოზ კიკნაველიძემ აღნიშნა, რომ ხარვეზი გამოსწორებულია და 10 კვირიანი ვადა საკმარისია პროგრამის განსახორციელებლად, მან დასძინა, რომ პრაქტიკის ობიექტები ისეა შერჩეული, რომ პროგრამის პრაქტიკის ობიექტებზე არის მოცვის სხვადასხვა ჯიშები, შესაბამისად პროგრამა იქნება წარმატებული.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები, საბჭოს წევრებს დამატებითი კითხვები არ ჰქონდათ.

ასევე მან მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ სურვილი გამოეთქვათ საკუთარი მოსაზრება, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ კარგია, რომ

დაწესებულებას მიეცა საშუალება გამოესწორებინა ხარვეზები და გაეთვალისწინებინა ის რეკომენდაციები, რაც დარგის ექსპერტების მიერ იქნა გაცემული და მათ მადლობა გადაუხადა.

ამის შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს კარტლის აგროსისტემების „ვაზის გაშენება და მოვლა“ /01503/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

**კენჭისყრის შედეგები:**
**მომხრე: 10**
**წინააღმდეგი: 0**

**გადაწყვეტილება:**
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, "პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, შპს კარტლის აგროსისტემებს (ს/კ: 208168640) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - ვაზის გაშენება და მოვლა /01503/ **(დანართი 1).**

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს კარტლის აგროსისტემების „ბოსტნეული კულტურის მოყვანა და მოვლა“ /01502/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**
**მომხრე: 10**
**წინააღმდეგი: 0**

**გადაწყვეტილება:**
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, შპს კარტლის აგროსისტემებს (ს/კ: 208168640) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - ბოსტნეული კულტურის მოყვანა და მოვლა /01502/ **(დანართი 2).**

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს კარტლის აგროსისტემების „მოცვის ბაღის გაშენება და მოვლა“ /01504/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**

**მომხრე: 10**
**წინააღმდეგი: 0**

**გადაწყვეტილება:**
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად,შპს კარტლის აგროსისტემებს (ს/კ: 208168640) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - მოცვის ბაღის გაშენება და მოვლა /01504/ **(დანართი 3).**

**4. სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის „თეატრალური კოსტუმის მკერავი“ /01518/ პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა.**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.
საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა ლანა გაჩეჩილაძემ, მან აღნიშნა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2023 წლის 16 იანვრის №25844 ბრძანების საფუძველზე პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარმა სპეციალისტმა ლანა გაჩეჩილაძემ და დარგის ექსპერტმა თეონა ვაშაკიძემ შეისწავლეს პროფესიული გადამზადების პროგრამის „თეატრალური კოსტუმის მკერავი“ განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადი და 2023 წლის 25 იანვარს განახორციელეს ვიზიტი სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში.
ვიზიტის დროს გადამოწმდა პროფესიული გადამზადების პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიალური, ადამიანური და სასწავლო რესურსი. მოხდა გასაუბრება დაწესებულების წარმომადგენლებთან და პროგრამის განმახორციელებელ პირებთან. ვიზიტი წარიმართა კოლეგიალურ და თანამშრომლობით გარემოში.
თავის პრეზენტაციაში ლანა გაჩეჩილაძემ ისაუბრა პროგრამის საჭიროების დასაბუთებასთან დაკავშირებით და დასძინა, რომ დაწესებულებამ წარმოადგინა დოკუმენტი - „სფეროს დამსაქმებელთა და ბაზრის კვლევა“, კვლევა ჩატარებული იქნა ინტერნეტ გამოკითხვის საშუალებით. მომზადებული იქნა კითხვარი, რომელიც გადაეგზავნა 54 სახელმწიფო და კერძო ორგანიზაციას. როგორც კერძო, ისე სახელმწიფო ორგანიზაციების მხრიდან დაფიქსირდა თეატრალური კოსტუმის მკერავის კადრის დეფიციტი. დასაქმებული მკერავებიდან მეტი წილი არის მოწვეული, გამოკითხული ორგანიზაციებიდან 82% აღნიშნავს, რომ არის თეატრალური კოსტუმის მკერავის პროფესიონალი კადრის დეფიციტი, დაფიქსირდა საჭიროება გადამზადებული მკერავების (88%). საქართველოს მასშტაბით 42 პროფესიული თეატრი და 60-მდე კინოსტუდია ფუნქციონირებს. აქედან მთელ რიგ თეატრებში დახურულია ან დახურვის პირასაა მისი ისეთი მნიშვნელოვანი და სასიცოცხლო სეგმენტი, როგორიცაა სადადგმო სახელოსნოები. ანალოგიური სიტუაცია არის კინოინდუსტრიასა და თეატრალიზებული სანახაობების მოწყობის მიმართულებით.

აღნიშნულ პროგრამაზე დაშვების წინაპირობასთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ პროგრამაში გაწერილია დაშვების წინაპირობა: სამუშაო გამოცდილება: კერვის საფუძვლები - 1 წელი, კვალიფიკაცია პროგრამის შესაბამის დარგში. აპლიკანტთა შერჩევის ფორმაა - გასაუბრება პროფესიის მოსინჯვის მეთოდით. გასაუბრება პრაქტიკული მაგალითის წარმოდგენით, რაც მოიცავს აღწერას, კერვის საფუძვლებს, სამკერვალო ტექნიკის, თბურ-დანამვითი მოწყობილობების გამოყენებასა და მისი უსაფრთხოების წესებს, ასევე მასალასთან და თარგთან მუშაობის ზოგად უნარ-ჩვევას.

გასაუბრებისას აპლიკანტმა უნდა წარმოადგინოს - საკუთარი ნამუშევრები პორტფოლიოს სახით.

ლანა გაჩეჩილაძემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროგრამის სწავლის შედეგებია: ნაციონალური კოსტუმის შექმნა; კოსტუმის ხარჯთაღრიცხვის გამოთვლა; მოცემული დავალების პრაქტიკულად შესრულება, ძირითადი მასალებისა და ტექნიკის გამოყენებით; ქალისა და მამაკაცის ისტორიული კოსტუმის შექმნა; თეატრალურ-აბსტრაქტული კოსტუმის შექმნა; კოსტუმის ესკიზის წაკითხვა; კოსტუმისათვის საჭირო მასალის დამუშავება-დახარისხება.

შემდეგ მან ისაუბრა ვიზიტის დროს დაფიქსირებულ ხარვეზებზე და გაცემულ რეკომენდაციებზე, კერძოდ ხარვეზები დაფიქსირდა 1.10 და 2.4 ქვესტანდარტთან მიმართებაში.

**ქვესტანდარტი 1.10** - მსმენელის შეფასების სისტემა ვერ უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის ვალიდურ, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიან/ობიექტურ დადასტურებას.

**ქვესტანდარტი 2.4** - ვინაიდან საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიწერილობის დოკუმენტში ასახული ღონისძიებებიდან ორი აქტივობა არ არის შესრულებული, რომელთა შესრულების ვადები გასულია (15.09.2020), შესაბამისად სასწავლო პროცესი არ მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში.

მან ასევე აღნიშნა, რომ გაცემული იქნა შემდეგი რეკომენდაციები:

**ქვესტანდარტი 1.6** - რეკომენდებულია პროგრამაში ყოველკვირეულად დაკონკრეტდეს თემატიკები, ნათლად გამოჩნდეს თითოეულ კვირაში რას სწავლობს, რა სამუშაოს ასრულებს სტუდენტი სწავლის შედეგის/შედეგების მისაღწევად. დაკონკრეტდეს, ნაწარმის დასახელებები და შესრულების ეტაპები ყოველკვირეულად.

**ქვესტანდარტი 1.8** - რეკომენდებულია სწავლების მეთოდებში დამატებულ იქნას ასევე სხვა სწავლების მეთოდები, რომელიც ამ პროგრამისთვის იქნება რელევანტური, მაგ. ინტერაქციული ლექცია, შემთხვევის ანალიზი, დემონსტრირება, პრაქტიკული სავარჯიშო, ინსტრუქტაჟი.

**ქვესტანდარტი 2.3** - რეკომენდებულია დამატებით მოძიებულ იქნეს ან შემუშავდეს განმახორციელებლების მიერ და მიეწოდოს მსმენელებს სასწავლო ლიტერატურა უშუალოდ თეატრალურ კოსტუმებთან დაკავშირებით სხვადასხვა ჟანრის თუ ეპოქის გათვალისწინებით.

**ქვესტანდარტი 3.4** - დაწესებულებამ წარმოადგინა დოკუმენტი - სწავლების ხარისხის შეფასებისა და სასწავლო პროცესის მონიტორინგის წესი, რომელშიც გაწერილია, თუ როგორ ხდება დაწესებულებაში აღნიშნულ პროგრამაზე სწავლების ხარისხის შეფასება და მონიტორინგი, თუმცა აღნიშნულ დოკუმენტში არ არის ნახსენები ტერმინი „მსმენელი“, სასურველია დაწესებულებას დააკონკრეტოს რეგულაციაში ტერმინების დონეზე, რომ ეს წესი ასევე ეხება მსმენელებს. რეკომენდებულია, გადაიხედოს და სრულყოფილად ჩამოყალიბდეს პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამებისთვის შემუშავებული მარეგულირებელი აქტები. რეკომენდირებულია თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე შემუშავდეს ანალიზის დოკუმენტი.

მან ასევე ისაუბრა აღნიშნული პროგრამის პარამეტრებზე და აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროფესიული გადამზადების პროგრამის „თეატრალური კოსტუმის მკერავი“ ეროვნული

კვალიფიკაციების ჩარჩოს დონეა მეხუთე, პროგრამის ხანგრძლივობა - 36 კვირა, მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 10, პროგრამის განხორციელების ადგილი ქ. თბილისი, რუსთაველის გამზირი 19.
პრეზენტაციის ბოლოს მან წარმოადგინა სასწავლო გარემოების ფოტომასალა.
პრეზენტაციის დასრულების შემდეგ საბჭოს წევრებს ლანა გაჩეჩილაძემ გაუზიარა ბმული, სადაც წარმოდგენილი იყო დეფილე. მან დასძინა, რომ ყველა ნამუშევარი არის უნიკალური, მეორე პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილი აქსესუარების დეტალები თავს იყრის საბოლოო კოლექციაში.
ლანა გაჩეჩილაძემ მიმართა საბჭოს წევრებს, რომ აქვე განიხილავდა მეორე პროგრამასაც.

**5. სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის „თეატრალური კოსტუმის აქსესუარისა და ქვილთის სპეციალისტი“ /01517/ პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა.**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.
საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა ლანა გაჩეჩილაძემ, მან აღნიშნა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2023 წლის 16 იანვრის №25852 ბრძანების საფუძველზე პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარმა სპეციალისტმა ლანა გაჩეჩილაძემ და დარგის ექსპერტმა თეონა ვაშაკიძემ შეისწავლეს პროფესიული გადამზადების პროგრამის „თეატრალური კოსტუმის აქსესუარისა და ქვილთის სპეციალისტი“ განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადი და 2023 წლის 25 იანვარს განახორციელეს ვიზიტი სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში.
ვიზიტის დროს გადამოწმდა პროფესიული გადამზადების პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიალური, ადამიანური და სასწავლო რესურსი. მოხდა გასაუბრება დაწესებულების წარმომადგენლებთან და პროგრამის განმახორციელებელ პირებთან. ვიზიტი წარიმართა კოლეგიალურ და თანამშრომლობით გარემოში.
პრეზენტაციის ფარგლებში ლანა გაჩეჩილაძემ ისაუბრა აღნიშნული პროგრამის საჭიროების დასაბუთებაზე და აღნიშნა, რომ დაწესებულებამ წარმოადგინა დოკუმენტი - „სფეროს დამსაქმებელთა და ბაზრის კვლევა“, კვლევა ჩატარებული იქნა ინტერნეტ გამოკითხვის საშუალებით. მომზადებული იქნა კითხვარი, რომელიც გადაეგზავნა 54 სახელმწიფო და კერძო ორგანიზაციას.
როგორც კერძო, ისე სახელმწიფო ორგანიზაციების მხრიდან დაფიქსირდა თეატრალური კოსტუმის აქსესუარისა და ქვილთის სპეციალისტის კადრის დეფიციტი. დასაქმებული მკერავებიდან მეტი წილი არის მოწვეული, გამოკითხული ორგანიზაციებიდან 66% აღნიშნავს, რომ არის თეატრალური კოსტუმის აქსესუარისა და ქვილთის სპეციალისტის პროფესიონალი კადრის დეფიციტი, დაფიქსირდა საჭიროება გადამზადებული მკერავების (76%). საქართველოს მასშტაბით 42 პროფესიული თეატრი და 60-მდე კინოსტუდია ფუნქციონირებს. აქედან მთელ რიგ თეატრებში დახურულია ან დახურვის პირასაა მისი ისეთი მნიშვნელოვანი და სასიცოცხლო სეგმენტი, როგორიცაა სადადგმო სახელოსნოები. ანალოგიური სიტუაცია არის კინოინდუსტრიასა და თეატრალიზირებული სანახაობების მოწყობის მიმართულებით
XXI საუკუნე და მთელი მსოფლიო ცდილობს გადაამუშაოს ნარჩენი პროდუქტი, რათა ხელი შეუწყოს ეკოლოგიას. მოდის ინდუსტრიაში ისეთი დიდი სახლები, როგორიც - Maison Valentino, Balenciaga და მრავალი სხვა მთელ კონცეფციას ამაზე აგებენ.

მან ასევე ისაუბრა პროგრამაზე დაშვების წინაპირობებთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ პროგრამაში გაწერილია დაშვების წინაპირობა: სამუშაო გამოცდილება: კერვის საფუძვლები - 1 წელი, კვალიფიკაცია პროგრამის შესაბამის დარგში. აპლიკანტთა შერჩევის ფორმაა - გასაუბრება პროფესიის მოსინჯვის მეთოდით. გასაუბრება პრაქტიკული მაგალითის წარმოდგენით, რაც მოიცავს აღწერას, კერვის საფუძვლებს, სამკერვალო ტექნიკის, თბურ-დანამვითი მოწყობილობების გამოყენებასა და მისი უსაფრთხოების წესებს, ასევე მასალასთან და თარგთან მუშაობის ზოგადი უნარ-ჩვევას. გასაუბრებისას აპლიკანტმა უნდა წარმოადგინოს - საკუთარი ნამუშევრები პორტფოლიოს სახით.

მან ასევე აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროგრამის სწავლის შედეგებია: თეატრალური კოსტუმის აქსესუარის დამზადება; ალტერნატიული ქსოვილის (ქვილთი, აპლიკაცია) შექმნა; ესკიზის წაკითხვა; კოსტუმის აქსესუარისთვის საჭირო მასალის დამუშავება-დახარისხება; კოსტუმის აქსესუარის ხარჯთაღრიცხვის გამოთვლა; მოცემული დავალების პრაქტიკულად შესრულება, ძირითადი მასალებისა და ტექნიკის გამოყენებით; ნაციონალური კოსტუმის აქსესუარის დამზადება; ისტორიული კოსტუმის აქსესუარის დამზადება. გაწერილია სწავლის შედეგების შესაბამისი თემატიკა, თუმცა ექსპერტების აზრით, ორივე პროგრამის შინაარსი საჭიროებს გაუმჯობესებას, რის თაობაზეც ვიზიტის დროს ესაუბრნენ დაწესებულების წარმომადგენლებს.

შემდეგ მან ისაუბრა დაწესებულებაში ვიზიტის დროს დაფიქსირებულ ხარვეზებზე და გაცემულ რეკომენდაციებზე.

**ხარვეზები:**

**ქვესტანდარტი 1.10** - მსმენელის შეფასების სისტემა ვერ უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის ვალიდურ, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიან/ობიექტურ დადასტურებას.

**ქვესტანდარტი 2.4** - ვინაიდან საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიწერილობის დოკუმენტში ასახული ღონისძიებებიდან ორი აქტივობა არ არის შესრულებული, რომელთა შესრულების ვადები გასულია (15.09.2020), შესაბამისად სასწავლო პროცესი არ მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში.

**გაცემული რეკომენდაციები:**

**ქვესტანდარტი 1.6 -** რეკომენდებულია პროგრამაში ყოველკვირეულად დაკონკრეტდეს თემატიკები, ნათლად გამოჩნდეს თითოეულ კვირაში რას სწავლობს, რა სამუშაოს ასრულებს სტუდენტი სწავლის შედეგის/შედეგების მისაღწევად. დაკონკრეტდეს, ნაწარმის დასახელებები და შესრულების ეტაპები ყოველკვირეულად.

**ქვესტანდარტი 1.7 -** პროგრამაში ტექნიკურად 31-ე კვირაში 12 სთ-ის ნაცვლად კვირეულ საათობრივ დატვირთვაში მითითებულია 123 სთ, რეკომენდებულია შესწორდეს.

**ქვესტანდარტი 1.8 -** რეკომენდებულია სწავლების მეთოდებში დამატებულ იქნას, ასევე, სხვა სწავლების მეთოდები, რომელიც ამ პროგრამისთვის იქნება რელევანტური, მაგ. ინტერაქციული ლექცია, შემთხვევის ანალიზი, დემონსტრირება, პრაქტიკული სავარჯიშო, ინსტრუქტაჟი.

**ქვესტანდარტი 2.3** - რეკომენდებულია დამატებით მოძიებულ იქნეს ან შემუშავდეს განმახორციელებლების მიერ და მიეწოდოს მსმენელებს სასწავლო ლიტერატურა უშუალოდ აქსესუარებთან დაკავშირებით სხვადასხვა ქვეყნის, ჟანრის თუ ეპოქის გათვალისწინებით.

**ქვესტანდარტი 3.4** - დაწესებულებამ წარმოადგინა დოკუმენტი - სწავლების ხარისხის შეფასებისა და სასწავლო პროცესის მონიტორინგის წესი, რომელშიც გაწერილია, თუ როგორ ხდება დაწესებულებაში აღნიშნულ პროგრამაზე სწავლების ხარისხის შეფასება და მონიტორინგი, თუმცა აღნიშნულ დოკუმენტში არ არის ნახსენები ტერმინი „მსმენელი“, სასურველია დაწესებულებამ დააკონკრეტოს რეგულაციაში ტერმინების დონეზე, რომ ეს წესი ასევე ეხება მსმენელებს. რეკომენდებულია, გადაიხედოს და სრულყოფილად ჩამოყალიბდეს პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამებისთვის შემუშავებული

მარეგულირებელი აქტები. რეკომენდებულია თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე შემუშავდეს ანალიზის დოკუმენტი.
შემდეგ მან ისაუბრა წარმოდგენილი პროგრამის პარამეტრებზე და დასძინა, რომ პროფესიული გადამზადების პროგრამის „თეატრალური კოსტუმის აქსესუარისა და ქვილთის სპეციალისტი“ ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონეა მეხუთე, პროგრამის ხანგრძლივობა - 36 კვირა, მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 10, პროგრამის განხორციელების ადგილი - ქ. თბილისი, რუსთაველის გამზირი 19.
პრეზენტაციის ბოლოს მან წარმოადგინა სასწავლო გარემოების ფოტომასალა.
ლანა გაჩეჩილაძემ პრეზენტაციის დასრულების შემდეგ გააზიარა სტუდენტური ქორეოგრაფიული ფორუმ ფესტივალის ტერსფსიქორეს ვიდეორგოლი, სადაც წარმოდგენილი იყო მსმენელების ნამუშევრები.
ამის შემდეგ ისაუბრა დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა ანანო სამსონაძემ, მან აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროგრამები ძალიან აქტიურად არის ჩართული უნივერსიტეტის ცხოვრებაში, კოსტუმები, რომელიც იკერება, არის კავშირში სპექტაკლებთან, რომელიც იდგმება უნივერსიტეტში, მან დასძინა, რომ ეს არ არის ერთადერთი გამოფენა, ასეთი გამოფენები უნივერსიტეტში ჩატარდა ხუთამდე, სხვადასხვა ლოკაციაზე, აქედან შეიძლება მსჯელობა, თუ რა შედეგზე გადის ეს ორი პროგრამა.
საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ამ პროგრამების კოლაბორაცია ერთმანეთში ძალიან საინტერესოა, სასარგებლოა და შთამბეჭდავი.
დაწესებულების წარმომადგენელმა დასძინა, რომ არა მხოლოდ ერთმანეთში, საერთოდ საუნივერსიტეტო სწავლებასთან და საუნივერსიტეტო ცხოვრებასთან არის კავშირში, ზუსტად თეატრალური არის ის გარემო, როდესაც მსმენელები არიან თეატრალურ სივრცეში, რაც შესაბამისად მათი უნარების გამოვლენის მაღალი ხარისხია.
ლანა გაჩეჩილაძემ აღნიშნა, რომ კოსტუმების ნაწილი დაწესებულებაში არ იყო ვიზიტის დროს, ვინაიდან მათ იყენებენ რეალურ გარემოში. მან ასევე აღნიშნა, რომ ნამდვილად შთამბეჭდავი იყო.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს და დამსწრე საზოგადოებას, დარგის ექსპერტებს წარედგინათ შემდეგი ორი პროგრამა „მხატვარ-დეკორატორი“ და „მხატვარ-გრიმიორი“, გაეკეთებინათ აქცენტები მთავარ საკითხებზე, და აქვე დასძინა, რომ ვინაიდან ამ ორ პროგრამაზე, ხარვეზი არ დაფიქსირებულა შეფასების სისტემასთან დაკავშირებით, განემარტათ დეტალურად, თუ რატომ შეფასდა განსხვავებულად ეს ორი პროგრამა ამ ქვესტანდარტის ფარგლებში, როგორც დასკვნიდან ჩანს, ამ ორ პროგრამასთან მიმართებაში დაწესებულებამ დამატებით წარმოადგინა დოკუმენტები - „მხატვარ-დეკორატორის“ და „მხატვარ-გრიმიორის“ პროფესიულიმომზადების პროგრამებისთვის სწავლის შედეგების შეფასების შესახებ.

**6. სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის „მხატვარ-დეკორატორი“ /01321/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა.**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა დარგის ექსპერტმა ნინო გზირიშვილმა, მან აღნიშნა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2023 წლის 16 იანვრის №25855 ბრძანების საფუძველზე პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა მაყვალა დარსანიამ და დარგის ექსპერტმა ნინო გზირიშვილმა შეისწავლეს პროფესიული მომზადების პროგრამის „მხატვარ-დეკორატორი“ განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადი და 2023 წლის 24 იანვარს განახორციელეს ვიზიტი სსიპ - საქართველოს შოთა რუსთველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში.
ვიზიტის დროს გადამოწმდა პროფესიული მომზადების პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიალური, ადამიანური და სასწავლო რესურსი. მოხდა გასაუბრება დაწესებულების წარმომადგენლებთან და პროგრამის განმახორციელებელ პირებთან. ვიზიტი წარიმართა კოლეგიალურ და თანამშრომლობით გარემოში.

წარმოდგენილ პრეზენტაციაში დარგის ექსპერტმა ისაუბრა პროგრამის პარამეტრებთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროგრამა არის მეოთხე დონის, პროგრამის ხანგრძლივობა - 34 კვირა, აღნიშნულ პროგრამაზე მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 10, პროგრამის განხორციელების ადგილი - ქ. თბილისი, რუსთაველის გამზირი 19, დაწესებულებას ამ პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისთვის აქვს იმიტირებული სცენა, რომელიც მდებარეობს დავით აღმაშენებლის პროსპ. №40-ში.
დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროგრამის მიზანია მოამზადოს მაღალკვალიფიციური კადრი მხატვარ-დეკორატორის სპეციალობით, რომელიც დასაქმდება თეატრსა და კინოში, ასევე შეძლებს შეასრულოს სხვადასხვა სახის სანახაობრივი ღონისძიების (შოუ პროგრამები; სატელევიზიო გადაცემები; სამოდელო ჩვენებები და სხვა) დეკორაციული გაფორმება.
შემდეგ მან ისაუბრა პროგრამის საჭიროების დასაბუთებაზე, კერძოდ დაწესებულებამ წარმოადგინა დოკუმენტი - „სფეროს დამსაქმებელთა და ბაზრის კვლევა“, „მხატვარ-დეკორატორის“ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობა, დოკუმენტში აღწერილია, რომ კვლევის მიზანს წარმოადგენდა კულტურის სფეროში დამსაქმებელთა ბაზრის კვლევა. ამ მიმართულებით კერძო და სახელმწიფო ორგანიზაციებში არსებული მდგომარეობის შეფასება ორგანიზაციათა/სუბიექტთა წარმომადგენლების მხრიდან და არსებული პრობლემების კვლევა.
კერძოდ, ორგანიზაციათა მდგომარეობა მხატვარ-დეკორატორის პროფესიული კადრების მიმართულებით და არსებული პრობლემები; ადამიანური რესურსებისადმი მოთხოვნების შეფასება ცოდნისა და საჭირო უნარების მიხედვით; პროფესიის მომუშავეების პროფესიული ცოდნისა და უნარ-ჩვევებისადმი დამსაქმებელთა მოთხოვნების შესწავლა; კადრების კვალიფიკაციით დამსაქმებელთა კმაყოფილების დონის შეფასება. კვლევა ჩატარებული იქნა ინტერნეტ გამოკითხვის საშუალებით. მომზადებული იქნა 9 კითხვა, რომელიც გადაეგზავნა 54 სახელმწიფო და კერძო ორგანიზაციას. საქართველოში ძირითადად კულტურისა და ხელოვნების სფეროში, მხატვარ-დეკორატორის სპეციალისტების მომზადების აუცილებლობა განპირობებულია აღნიშნული კატეგორიის სპეციალისტებზე შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნით, რომელიც თავის მხრივ განპირობებულია: თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის პირობებში კულტურის სფეროს, როგორც არაკომერციული, ისე კომერციული სექტორების განვითარების ინტერესებით, მხატვარ-დეკორატორის პროფესიის პოპულარიზაციითა და შემოქმედებითი ინდუსტრიების ხელშეწყობით; მხატვარ-დეკორატორის საქმიანობის გააქტიურებით.
სფეროში არსებული ძირითადი პრობლემებია - კვალიფიციური კადრების დეფიციტი; სახელმწიფოს მხარდაჭერა/ინიციატივების ხელშეწყობის სიმწირე; მცირე დაფინანსება კულტურის სექტორში; სამუშაო ადგილების დეფიციტი. გამოკითხული ორგანიზაციებიდან 22.2% კერძოა, ხოლო 77.8% სახელმწიფო ორგანიზაცია. როგორც კერძო, ისე სახელმწიფო

ორგანიზაციების მხრიდან დაფიქსირდა მხატვარ-დეკორატორის კადრის დეფიციტი. დასაქმებული დეკორატორებიდან დასაქმებულია 66.7%, გამოკითხული ორგანიზაციებიდან 77.8% აღნიშნავს, რომ არის მხატვარ-დეკორატორის პროფესიონალი კადრის დეფიციტი, დაფიქსირდა საჭიროება გადამზადებული მხატვარ-დეკორატორის (77.8%). ასევე გამოკითხვის შედეგად გაირკვა, რომ არსებობს ხელისშემშლელი ფაქტორები ორგანიზაციაში დეკორატორის დასაქმებასთან დაკავშირებით, რაც განპირობებულია პროფესიული კადრების სიმცირით, ფინანსური პრობლემებით.

დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულებაში ვიზიტის დროს დაფიქსირდა ერთი ხარვეზი 2.4 ქვესტანდარტთან მიმართებაში, მან დასძინა, რომ სხდომაზე განხილული მეოთხე და მეხუთე საკითხები ამავე დაწესებულების იყო და ხარვეზი ყველა შემთხვევაში იდენტურია. ვინაიდან ამაზე უკვე ისაუბრეს წინა პროგრამების განხილვის დროს, მან ადასძინა, რომ ამ ხარვეზს არ განავრცობდა.

მან ასევე აღნიშნა, რომ ექსპერტების მიერ გაიცა რამდენიმე რეკომენდაცია, კერძოდ

**ქვესტანდარტი 1.6 -** რეკომენდებულია სწავლის შედეგების ფორმულირება ჩამოყალიბდეს ცოდნა - გაცნობიერებით, უნარით ან/და კომპეტენციით. სწავლის შედეგს, სადაც მსმენელს უწევს საშიშ ხელსაწყოებთან მუშაობა, შესაბამის თემატიკაში დაემატოს სამუშაო გარემოში უსაფრთხოების წესების დაცვა.

„მხატვარ-დეკორატორის“ პროფესიული მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსში სწავლის შედეგები არ არის თანმიმდევრული. მაგალითად, პირველი სასწავლო კვირა იწყება მე-6 და მე-5 შედეგით. პირველი შედეგი ისწავლება 27-ე კვირიდან. დაწესებულებასთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ ამ მიდგომით პროგრამის შემუშავება ეფუძნება 2 პრინციპს:

„პირველი პრინციპი, ათვლა იწყება ყველაზე მნიშვნელოვანი, ყველაზე მსხვილი შედეგით (მაგ., შედეგი №1: გადაიტანოს დამდგმელი მხატვრის მიერ შესრულებული ესკიზი ნატურალურ ზომაში), ხოლო შემდეგ, ასახულია ნაკლებად მნიშვნელოვანი შედეგი, რომელიც ავითარებს სხვადასხვა ცალკეულ უნარს (მაგ., შედეგი №6: შეძლოს ფორმის პერსპექტივის ჩვენება ნახატში) და ა.შ. ნუმერაციაში 1-დან 9-მდე გამოყენებულია დედუქციური მეთოდი, ყველაზე მნიშვნელოვანი შედეგიდან მის დეტალიზებამდე.“

„მეორე პრინციპი, რომელიც თანხვედრაშია პირველ პრინციპთან, არის დეკორატორის პროფესიული მუშაობის პროცესის, დაწყებიდან დასრულებამდე, ასახვა თეატრსა და კინოში კონკრეტულ სპექტაკლზე ან ფილმზე მუშაობის დროს (მაგ., შედეგი №2: ესკიზის მიხედვით მასალის შერჩევა; შედეგი №3: ესკიზის მიხედვით კონსტრუქციული ნახაზისა და მაკეტის შექმნა; შედეგი №4; ბუტაფორიისა და რეკვიზიტების შექმნა; და ბოლოს, შედეგი №9: ფერის დაუფლების გზით ნებისმიერი ფაქტურისა და ფორმის საგნის შექმნა).“

დაწესებულების განმარტება:

„აქედან გამომდინარე, სასწავლო პროცესში სწავლის შედეგების ნუმერაცია კვირების მიხედვით არ არის წარმოდგენილი 1-დან 9-მდე ციფრების ზრდადი რიგითობით. ყოველი კვირის სწავლის შედეგი (მისი ნომერი) არის მჭიდრო ბმაში ამ კვირის სასწავლო თემატიკასთან.

ამასთანავე, თითოეული სწავლის შედეგის მიღწევა არის ეტაპობრივი პროცესი, რომელიც არის უნარის შეძენის დაგროვებადი გზა. შესაბამისად, ერთი და იგივე სწავლის შედეგი შეიძლება შეგვხვდეს სასწავლო პროცესის დასაწყისში (გაცნობა), შუაში (დაუფლება) და დამამთავრებელ კვირებშიც (დაოსტატება). მაგ., შედეგი #5: ფერწერის ტექნიკის გამოყენება დეკორაციის შესრულების დროს, პირველ სასწავლო კვირაში გულისხმობს ფერწერის ტექნიკის გამოყენებას ქაღალდზე, მე-7 კვირაში - თაბაშირის საგნებზე, მე-16 კვირაში - ქსოვილზე, 22-ე კვირაში - მინაზე და ა.შ.).“

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პირველი პრინციპი არ იქნა გაზიარებული დარგის ექსპერტის მიერ, რომ სწავლის შედეგების ნუმერაციით ათვლა იწყება ყველაზე მნიშვნელოვანი და მსხვილი შედეგით, რადგან მე-8 შედეგიც - „შექმნას ნებისმიერი ბუტაფორია და რეკვიზიტი დამდგმელი მხატვრის მიერ შესრულებული ესკიზის საფუძველზე“ არანაკლებ მსხვილი და მნიშვნელოვანი შედეგია, ვინაიდან სწავლებაში ყველა შედეგი მნიშვნელოვანია. პროფესიული

მომზადების პროგრამის შინაარსში სწავლის მეთოდებიც მხოლოდ პრაქტიკული მეცადინეობაა აღნიშნული და თუმცა, როგორც გასაუბრებისა გაირკვა, დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ პირველ ეტაპზე არის გაცნობა, შემდეგ დაუფლება და ბოლოს დაოსტატება, რაც პროგრამის სწავლის შედეგებიდან არ იკითხება.

ასევე იქიდან გამომდინარე, რომ დეკორაციისა თუ ბუტაფორიის დამზადებისას მსმენელი იყენებს ისეთ ხელსაწყოს, როგორიცაა ჩაქუჩი, ხელის ხერხი და სხვ., რომელიც დაკავშირებულია მსმენელის უსაფრთხოებასთან, რეკომენდებულია თემატიკაში დაემატოს - სამუშაო გარემოს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები; გარემოს დაცვის ნორმები; პირველადი სამედიცინო დახმარების ნორმები.

დაწესებულებასთან გასაუბრების შემდეგ ექსპერტებს მიეწოდა დოკუმენტი - „უსაფრთხოების დაცვის ნორმები“, სადაც წარმოდგენილია მსმენელის ვალდებულება:

დაიცვას პირადი და სამუშაო გარემოს სანიტარულ - ჰიგიენური ნორმები; დაიცვას შრომითი უსაფრთხოების ნორმები; დაიცვას გარემოს დაცვის ნორმები და უზრუნველყოფს პირველადი სამედიცინო დახმარების ნორმები.

**ქვესტანდარტი 1.8 -** რეკომენდებულია სწავლების მეთოდებში დამატებულ იქნას ასევე სხვა სწავლების მეთოდები, რომელიც ამ პროგრამისთვის იქნება რელევანტური, მაგალითად: ინტერაქციული ლექცია, შემთხვევის ანალიზი, დემონსტრირება, ინსტრუქტაჟი. (სწავლის მეთოდებში მითითებულია მხოლოდ „პრაქტიკული სავარჯიშო“)

**ქვესტანდარტი 3.2 -** რეკომენდებულია, გადაიხედოს და სრულყოფილად ჩამოყალიბდეს პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამებისთვის შემუშავებული მარეგულირებელი აქტები.

**ქვესტანდარტი 3.4** - დაწესებულებამ წარმოადგინა დოკუმენტი - სწავლების ხარისხის შეფასებისა და სასწავლო პროცესის მონიტორინგის წესი, რომელშიც გაწერილია, თუ როგორ ხდება დაწესებულებაში აღნიშნულ პროგრამაზე სწავლების ხარისხის შეფასება და მონიტორინგი, თუმცა აღნიშნულ დოკუმენტში არ არის ნახსენები ტერმინი „მსმენელი“, სასურველია დაწესებულებას დააკონკრეტოს რეგულაციაში ტერმინების დონეზე, რომ ეს წესი ასევე ეხება მსმენელებს.

შემდეგ დარგის ექსპერტმა ისაუბრა სასწავლო გარემოს შესახებ, მან აღნიშნა, რომ პროგრამის განხორციელებისას გათვალისწინებულია როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული კომპონენტი. პრაქტიკული კომპონენტი ხორციელდება C გარემოში.

ვიზიტის დროს მოხდა სასწავლო აუდიტორების დათვალიერება, გადამოწმდა იქ არსებული მატერიალური რესურსი, შექმნილი გარემო პირობები სრულად უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს.

პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების ადგილი მითითებულია ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ. 19.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ პროფესიული მომზადების პროგრამის აღჭურვილობის ჩამონათვალში არ არის მითითებული ისეთი აღჭურვილობა, რომელიც აუცილებელია სწავლის შედეგების მისაღწევად. მაგალითად კომპიუტერი, დაფა, პროექტორი, ჩაქუჩი, ხელის ხერხი, ბრტყელტუჩა და სხვ.

დაწესებულებასთან გასაუბრების შემდეგ, გაირკვა, რომ ზემოთ აღნიშნული ხელსაწყოები (ჩაქუჩი, ხელის ხერხი, ბრტყელტუჩა და სხვ.) საკუთრებაში აქვს პროგრამის ხელმძღვანელს და პროგრამის განმახორციელებელს, რომელსაც გამოიყენებს პროგრამის განხორციელებისთვის. თუმცა აღსანიშნავია, რომ დაწესებულებას ამასთან დაკავშირებით რაიმე დოკუმენტი არ წარმოუდგენია.

პრეზენტაციის ბოლოს დარგის ექსპერტმა წარმოადგინა სასწავლო გარემოს ფოტომასალა.

საბჭოს წევრმა მარიკა ზაქარეიშვილმა მადლობა გადაუხადა დარგის ექსპერტს ნინო გზირიშვილს შთამბეჭდავი პრეზენტაციის წარდგენისთვის, და აქვე დასძინა, რამდენად მისაღებია წარმოდგენილი პროგრამის სახელწოდება იყოს „მხატვარ-დეკორატორი“, ხომ არ იმეორებს რომელიმე დიდი კვალიფიკაციის სახელს, რაზეც დარგის ექსპერტმა უპასუხა, რომ

არ იმეორებს, შესაბამისად არ წარმოადგენს პრობლემას ამ პროგრამას „მხატვარ-დეკორატორი“ ერქვას, და აქვე დასძინა, რომ პროგრამა არის 34 კვირიანი, მთელი სწავლების პროცესს გასდევს ხატვის სწავლება.
მარიკა ზაქარეიშვილი დაინტერესდა, პროგრამის წინაპირობა რას ითვალისწინებდა, ვინაიდან სამხატვრო აკადემიაში ხატვას 4 წლის განმავლობაში სწავლობენ, ხომ არ უნდა იყოს სახლწოდება უფრო კონკრეტული, რაზეც დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ აპლიკანტს უნდა ჰქონდეს ხატვის გარკვეული უნარები, და დასძინა, რომ დეკორაციის დამზადება რომ იყოს შესაძლებელია, დეკორაციას რომ ამზადებს, ხატავს კიდეც, თუმცა სახელწოდება რომ იყოს მხატვარ-დეკორატორი შეცდომა არაა.
მარიკა ზაქარეიშვილმა განმარტა, რომ ვინაიდან მომზადება/გადამზადების პროგრამები არის კონკრეტული კვალიფიკაციის კონკრეტული ნაწილი, კონკრეტულ ნაწილს ფარავს, სასურველია, თუ გამოსასწორებელი ვადა მიეცემა, იქნება ამ მიმართულებითაც იფიქროს დაწესებულებამ.
ნინო გზირიშვილმა აღნიშნა, რომ ხატვას ისეთი დონით სწავლობენ, ასევე გრაფიკას, ფერწერას, რომ ეს პრობლემას არ წარმოადგენს.
საბჭოს წევრი ნინო შუბითიძე დაეთანხმა მარიკა ზაქარეიშვილის მოსაზრებას და დასძინა, რომ აპლიკანტს უნდა ჰქონდეს ხატვაში და დეკორაციის მომზადებაში საბაზისო ცოდნა.
პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა მარიკა ზაქარეიშვილის კომენტართან დაკავშირებით აღნიშნა, რომ სწავლის სფეროების კლასიფიკატორში არ არის ასეთი სახელწოდებით არც საბაკალავრო, არც სამაგისტრო და არც სადოქტორო პროგრამები, შესაბამისად სახელწოდება წინააღმდეგობაში არ მოდის, მან დასძინა, რომ თუმცა ეს აქცენტები სავსებით მისაღებია, მითუმეტეს ეს არის მეოთხე დონის პროგრამა, ყოველშემთხვევაში არის შემსრულებელი და არა შემოქმედი, უკვე შექმნილი პროექტის ფარგლებში ახორციელებს დეკორაციის შექმნას.
დარგის ექსპერტმა ნინო გზირიშვილმა აღნიშნა, რომ აქტიურად ისიც ხატავს, თუმცა დამდგმელი მხატვრის მიერ შექმნილის საფუძველზე ქმნის დეკორაციას.
ამის შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დარგის ექსპერტს წარმოედგინა „მხატვარ-გრიმიორის“ პროგრამის პრეზენტაცია.
ცენტრის წარმომადგენელმა მაყვალა დარსანიამ აღნიშნა, რომ ტექნიკური ხარვეზის გამო აღნიშნული პროგრამის დარგის ექსპერტი ვერ ჩაერთო სხდომას, და დასძინა, რომ თვითონ ისაუბრებდა ამ პროგრამასთან მიმართებაში.

**7. სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის „ მხატვარ-გრიმიორი“ /01519/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა.**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა ცენტრის წარმომადგენელმა მაყვალა დარსანიამ, მან აღნიშნა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2023 წლის 16 იანვრის №25857 ბრძანების საფუძველზე პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა მაყვალა დარსანიამ და დარგის ექსპერტმა ნინო მარტაშვილმა შეისწავლეს პროფესიული მომზადების პროგრამის „მხატვარ-გრიმიორი“ განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადი და 2023 წლის 24

იანვარს განახორციელეს ვიზიტი სსიპ - საქართველოს შოთა რუსთველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში.
ვიზიტის დროს გადამოწმდა პროფესიული მომზადების პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიალური, ადამიანური და სასწავლო რესურსი. მოხდა გასაუბრება დაწესებულების წარმომადგენლებთან და პროგრამის განმახორციელებელ პირებთან. ვიზიტი წარიმართა კოლეგიალურ და თანამშრომლობით გარემოში.

ცენტრის წარმომადგენელმა ისაუბრა პროგრამის პარამეტრებთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ „მხატვარ-გრიმიორის“ პროფესიული მომზადების პროგრამის ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონეა მეხუთე, პროგრამის ხანგრძლივობა - 36 კვირა, მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 20, პროგრამის განხორციელების ადგილი - ქ. თბილისი, რუსთაველის გამზირი 19.
შემდეგ მან ისაუბრა ვიზიტის დროს დაფიქსირებულ ხარვეზზე 2.4 ქვესტანდარტთან მიმართებაში და დასძინა, რომ ზემოთაღნიშნული პროგრამების განხილვის დროს აღნიშნული იქნა უკვე 2.4 ქვესტანდარტის ხარვეზთან დაკავშირებით და ამ ხარვეზთან დაკავშირებით საუბარი არ განავრცო.
მან აღნიშნა, რომ ასევე გაიცა რეკომენდაციები, კერძოდ
**ქვესტანდარი 1.6 -** რეკომენდებულია პროგრამის სწავლის შედეგები აღწერილი იყოს ცოდნა-გაცნობიერებით, აგრეთვე უნარით ან/და კომპეტენციით.
**ქვესტანდარტი 1.8 -** რეკომენდებულია სწავლების მეთოდებში დამატებულ იქნას ასევე სხვა სწავლების მეთოდები, რომელიც ამ პროგრამისთვის იქნება რელევანტური, მაგ. ინტერაქციული ლექცია, შემთხვევის ანალიზი, დემონსტრირება, პრაქტიკული სავარჯიშო, ინსტრუქტაჟი.
**ქვესტანდარტი 3.2** - რეკომენდებულია, გადაიხედოს და სრულყოფილად ჩამოყალიბდეს პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამებისთვის შემუშავებული მარეგულირებელი აქტები - სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, სწავლების ხარისხის შეფასებისა და სასწავლო პროცესის მონიტორინგის წესი.

პროგრამის საჭიროების დასაბუთებასთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ დაწესებულებამ წარმოადგინა დოკუმენტი - „სფეროს დამსაქმებელთა და ბაზრის კვლევა“, „მხატვარ-გრიმიორის“ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობა, დოკუმენტში აღწერილია, რომ კვლევის მიზანს წარმოადგენდა კულტურის სფეროში დამსაქმებელთა ბაზრის კვლევა.
საქართველოში ძირითადად კუტურისა და ხელოვნების სფეროში, მხატვარ-გრიმიორის სპეციალისტების მომზადების აუცილებლობა განპირობებულია აღნიშნული კატეგორიის სპეციალისტებზე შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნით, რომელიც თავის მხრივ განპირობებულია: თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის პირობებში კულტურის სფეროს, როგორც არაკომერციული, ისე კომერციული სექტორების განვითარების ინტერესებით, მხატვარ-გრიმიორის პროფესიის პოპულარიზაციითა და შემოქმედებითი ინდუსტრიების ხელშეწყობით; მხატვარ-გრიმიორის საქმიანობის გააქტიურებით. როგორც კერძო, ისე სახელმწიფო ორგანიზაციების მხრიდან დაფიქსირდა მხატვარ-გრიმიორის კადრის დეფიციტი. დაფიქსირდა საჭიროება გადამზადებული მხატვარ-გრიმიორების.
ცენტრის წარმომადგენელი ასევე შეეხო სხვა ქვესტანდარტებსაც, კერძოდ მან აღნიშნა, რომ პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს, მიზანი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია სწავლის შედეგებთან, რაც შეეხება პროგრამაზე დაშვების წინაპირობას, მან აღნიშნა, რომ
პროგრამაში გაწერილია დაშვების წინაპირობა: სრული ზოგადი განათლება. ასევე აპლიკანტს უნდა ჰქონდეს ხატვის და ძერწვის უნარები, მაკიაჟის ცოდნა, ფერთა აღქმის უნარი, კომუნიკაციის უნარი.

აპლიკანტთა შერჩევის ფორმა - გასაუბრება პროფესიის მოსინჯვის მეთოდით.
რაც შეეხება სწავლის შედეგებს, ამასთან დაკავშირებით, როგორც ზემოთ აღინიშნა, გაიცა რეკომენდაცია იმასთან დაკავშირებით, რომ სწავლის შედეგები აღწერილი იყოს ცოდნა-გაცნობიერებით, აგრეთვე უნარით ან/და კომპეტენციით.
მან ასევე ისაუბრა პროგრამის ხანგრძლივობასა და მოცულობასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ პროფესიული მომზადების პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 36 (ოცდათექვსმეტი) კვირას, კვირეული სასწავლო დატვირთვაა - 16 სთ, სულ - 576 სთ. აღნიშნული პროგრამა განხორციელდება მხატვარ-გრიმიორის პროგრამისთვის განკუთვნილ სასწავლო აუდიტორიაში, რომელიც აღჭურვილია პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი მატერიალური რესურსით. პროგრამა განხორციელდება სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების მიდგომით.
სწავლების მეთოდებთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ დაწესებულებას სწავლების მეთოდებში მითითებული აქვს მხოლოდ პრაქტიკული მეცადინეობა, თუმცა პროგრამის შედეგებში და შესაბამის თემატიკაში არის ასევე თეორიული კომპონენტი გათვალისწინებული. პროგრამის განმახორციელებელ პირებთან გასაუბრების დროს დადგინდა, რომ სწავლება მიმდინარეობს ინტეგრირებულად, თეორიული და პრაქტიკული კომპონენტი ხორციელდება მეცადინეობაზე ერთდროულად, თუმცა ელ. სისტემაში ატვირთული პროგრამიდან ეს არ იკითხება. როგორც ზემოთ აღინიშნა, ამ ქვესტანდარტთან მიმართებაშიც გაიცა რეკომენდაცია ექსპერტების მიერ.
შემდეგ მან ყურადღება გაამახვილა სწავლის შედეგების შეფასებასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ დაწესებულებას შემუშავებული აქვს დოკუმენტი - სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (დამტკიცებულია უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ 2017 წლის 28 სექტემბრის №16 დადგენილებით, ცვლილება განხორციელებულია 2019 წლის 6 ნოემბრის №10 დადგენილებით), თუმცა ამ წესში არ არის გაწერილი, რომ ეს მარეგულირებელი დოკუმენტი ეხება ასევე მსმენელების შეფასებას.
როგორც დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა გასაუბრებისას აღნიშნა, მსმენელების შეფასება/სწავლის შედეგების დადასტურება მოხდება 100 ქულიანი სისტემით, ფასდება მსმენელის დასწრება, აქტივობა, შუალედური შეფასებისთვის სხვადასხვა სახის დავალების შესრულება, ფინალური გამოცდა.
აღნიშნული პროგრამისთვის დაწესებულებამ წარმოადგინა დოკუმენტი - „მხატვარ-გრიმიორის“ პროფესიულიმომზადების პროგრამისთვის სწავლის შედეგების შეფასების შესახებ, სადაც გაწერილია, ამ კონკრეტული პროგრამის შემთხვევაში როგორ ხდება სწავლის შედეგების შეფასება, კერძოდ სწავლის შედეგების შეფასება შედგება ორი კომპონენტისგან: 1. შუალედური შეფასება (სასწავლო პროცესის განმავლობაში სხვადასხვა სახის დავალების შესრულება), ფინალური გამოცდა (ნაშრომის პრეზენტაცია). მან დასძინა, რომ დაწესებულებაში ფუნქციონირებს სასწავლო პროცესის მართვის ელ. პორტალი - tafu.eni.ge, სადაც განთავსებულია ინფორმაცია მსმენელების, პროგრამების შესახებ, ასევე ამ პორტალზე ხდება შეფასება, ელექტრონულად ივსება უწყისები ყველა პროგრამების მიხედვით. აქვე განთავსებულია მეცადინეობის ცხრილები, თითოეულ მსმენელს, პროგრამის განმახორციელებლ პირს აქვს წდომა ამ პორტალზე თავისი მომხმარებლის სახელით და პაროლით და შეუძლია ნახოს ინფორმაცია.
მან ასევე ისაუბრა იმასთან დაკავშირებით, რომ დაწესებულებას დაგეგმილი აქვს მოთხოვნილი 20 მსმენელი სასწავლო პროცესის მიმდინარეობის დროს განთავსდეს 2 ჯგუფად, 10-10 მსმენელი. პროგრამის თეორიული და პრაქტიკული კომპონენტი განხორციელდება „მხატვარ-გრიმიორის“ პროგრამისთვის გამოყოფილ გარემოში, აუდიტორიაში პროგრამის განმახორციელებელი პირისთვის არის დემონსტრირების ციფრული საშუალებები: ლეპტოპი, პროექტორი. მსმენელებისათვის შესაბამისი რაოდენობის მაგიდა, სკამები. აუდიტორიაში არის

უწყვეტი წვდომა ინტერნეტზე, ასევე პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე სასწავლო გარემოში არის პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი აღჭურვილობა - საგრიმიორო მაგიდები, ჟელატინი, პლასტელინი (ქანდაკების) და სხვა.
მან დასძინა, რომ დაწესებულებაში ხშირად იდგმება სტუდენტური სპექტაკლები, ამასთან დაკავშირებით დაწესებულებაში არის ასევე მეორე საგრიმიორო, სადაც ხდება სპექტაკლის მონაწილეებისთვის გრიმის გაკეთება, ამ პროცესში აქტიურად არიან ჩართული აღნიშნული პროგრამის მსმენელები.
პრეზენტაციისას მან აღნიშნა, რომ მეორე და მესამე სტანდარტი უკვე განხილული იქნა ამ დაწესებულების სამი პროგრამის ფარგლებში და იქიდან გამომდინარე, რომ შეფასება იდენტურია, აღარ ისაუბრა დაწვრილებით.
პრეზენტაციის ბოლოს მან წარმოადგინა სასწავლო გარემოს ფოტომასალა, ასევე განხორციელებული პროგრამის კურსდამთავრებულთა ნამუშევრები, რომელიც განთავსებულია ამავდროულად დაწესებულების ვებგვერდზე.
შემდეგ მან ყურადღება გაამახვილა მსმენელების შეფასების სისტემაზე ამ ორ პროგრამასთან მიმართებაში და აღნიშნა, რომ დაწესებულებამ წარმოადგინა ვიზიტის დროს დამატებით დოკუმენტი, თუ როგორ ახდენდა ამ ორ პროგრამაზე მსმენელების შეფასებას, ორივე პროგრამის შემთხვევაში სწავლის შედეგების შეფასება ხორციელდება შუალედური და ფინალური გამოცდის მეშვეობით, ანუ შუალედური შეფასების დროს ხდება ქულების გადანაწილება შემდეგნაირად: პროექტის/თემის განხილვა, რომელიც არის დაგეგმილი მეხუთე კვირას და ფასდება 10 ქულით, ასევე ხდება პროექტის/თემის პრეზენტაცია, რომელიც შეიძლება იყოს როგორც ჯგუფური, ან/და ინდივიდუალური, დაგეგმილია მეათე კვირას და ფასდება 10 ქულით, პრაქტიკული დავალება დაგეგმილია მეთერთმეტე-ოცდამეცამეტე კვირას და ფასდება 30 ქულით. ფინალურ გამოცდაზე ოცდამეთექვსმეტე კვირას მსმენელი წარმოადგენს დასრულებული ნაშრომის პრეზენტაციას, რომელიც ფასდება 50 ქულით, საბოლოო შეფასების 50 ქულა არ არის ჩაშლილი. საბოლოო შეფასების მინიმალური დადებითი ზღვარია - 50 ქულა. „მხატვარ-დეკორატორის“ პროფესიული მომზადების პროგრამის შემთხვევაში შეფასების კომპონენტებია: ესკიზების, ბუტაფორიის, რეკვიზიტის შექმნა და სხვადასხვა ტექნოლოგიური პრინციპების გამოყენება (გამოფენა); სტილიზირებული სურათის შექმნა ფერადი მასალის გამოყენებით (გამოფენა), ნახაზის მიხედვით მაკეტის შექმნა (გამოფენა), ხოლო „მხატვარ-გრიმიორის“ პროფესიული მომზადების პროგრამის შემთხვევაში შეფასების კომპონენტებია: ესკიზების შესრულება, ფერისა და ფორმის განსაზღვრა „სახის აწყობაში“, „სახის აწყობა“ გრიმის სხვადასხვა ტექნოლოგიური პრინციპების გამოყენებით (გამოფენა).
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს დაეფიქსირებინა მოსაზრება ხარვეზებთან დაკავშირებით, დასძინა ვიზიტის შემდეგ რამე ხომ არ შეცვლილა, ასევე პირველი-ორი პროგრამის ფარგლებში შეფასების სისტემასთან დაკავშირებით გაეკეთებინა განმარტება.
დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა ანანო სამსონაძემ აღნიშნა, რომ უმნიშვნელოვანესია ამ პროგრამების განხორციელება უნივერსიტეტში, ნამდვილად არის ბაზრის დასაბუთება/კვლევა ამ პროგრამების აქტუალობასთან დაკავშირებით, ძალიან მოთხოვნადია და თეატრები, სტუდიები საჭიროებენ ამ ტიპის კადრებს, სწორედ უნივერსიტეტი ის ადგილია, სადაც შეიძლება მომზადდეს კვალიფიციური კადრები.
საბჭოს თავმჯდომარემ კიდევ ერთელ დააფიქსირა თავისი მოსაზრება წარმოდგენილ პროგრამებთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ ამ პროგრამების კოლაბორაცია ერთმანეთში ძალიან საინტერესოა, სასარგებლო და შთამბეჭდავი. დარგის ექსპერტებმაც აღნიშნეს, რომ დაწესებულებას ჰყავს მაღალკვალიფიციური პროგრამის განმახორციებელი პირები, მან დასძინა, რომ მისასალმებელია ასეთი ტიპის პროგრამების განხორციელება ფორმალური განათლების სივრცეში, თუმცა ის ფაქტობრივი მდგომარეობა რაც დაფიქსირდა, რასაკვირველია მნიშვნელოვანია და საყურადღებო.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტისთვის ძალიან მნიშვნელოვანია მოისმინოს ასეთი შეფასებები, რომ პროგრამები იყოს გაუმჯობესებული. როგორც კი დასკვნა მიიღო დაწესებულებამ, გაეცნო, თუმცა არის ხარვეზების ნაწილი, რომელსაც არ ეთანხმება დაწესებულება, რაც შეეხება რეკომენდაციებს, დასკვნის გაცნობის შემდეგ უნივერსიტეტში შეიქმნა სპეციალური კომისია რექტორის ბრძანებით, რომელშიც შედიან პროგრამის განმახორციელებელი პირები, პროგრამის ხელმძღვანელები, დაწესებულების იურისტი, აღნიშნული პროგრამების ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირი, და ის რეკომენდაციები, რომელიც ეხება გარკვეულ ნორმატიულ აქტებში დაკორექტირებას, გათვალისწინებული იქნება უნივერსიტეტის მხრიდან.

დაწესებულების წარმომადგენელმა შემდეგ ისაუბრა სწავლის შედეგების შეფასებასთან დაკავშირებით, მან დასძინა, რომ უნივერსიტეტი იყენებს საუნივერსიტეტო ელექტრონულ სისტემას, სადაც ხდება ელექტრონულად სწავლის შედეგების შეფასების დაფიქსირება, დაწესებულებამ საჭიროდ ჩათვალა, რომ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამების შეფასებაც ამ სისტემაში განეხორციელებინა, მან გააზიარა ელ. სისტემიდან ამოღებული უწყისი, და დასძინა, რომ ისევე როგორც საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებზე, ასევე მსმენელების შეფასება ხორციელდება ამ პლატფორმის მეშვეობით, როგორც კი ხდება ამ სისტემაში შესვლა, მაგ. დავალება იხსნება ოთხ დავალებად, და თითოეული დავალებისთვის არის განსაზღვრული კონკრეტული მაქსიმალური და მინიმალური ქულა, ამიტომ ის დაჯამებული შედეგი, რომელსაც ღებულობს მსმენელი, იქნა გამოყენებული სამივე პროგრამის - „თეატრალური კოსტუმის მკერავი“, „თეატრალური კოსტუმის აქსესუარისა და ქვილთის სპეციალისტი“ და „მხატვარ-გრიმიორის“ შემთხვევაში, რომელიც განხორციელდა დაწესებულებაში. თუმცა ვინაიდან „მხატვარ-დეკორატორის“ პროგრამას ეხლა იმატებს დაწესებულება, ამ სისტემაში რა თქმა უნდა არ არის.

თუმცა შეიძლება დაწესებულებამ ექსპერტების რეკომენდაციებიდან გამომდინარე, შეცვალოს შეფასების სისტემა მსმენელებისთვის და უარი თქვას ქულობრივ შეფასებაზე, გამარტივებული გზით წავიდეს მსმენელებისთვის, მან დასძინა, რომ წარმოუდგინა საბჭოს თუ როგორ ხდებოდა შეფასება აღნიშნულ პროგრამებზე.

შემდეგ მან ისაუბრა კონკრეტულ პროგრამებზე, ვინაიდან ეს პროგრამები არის სპეციფიური, თითოეული კოსტუმი არის ექსკლუზიური, ერთადერთი, აქედან გამომდინარე ყოველი პროგრამისთვის გაწერილი იქნა კრიტერიუმები და კომპონენტები.

„თეატრალური კოსტუმის მკერავის“ პროგრამასთან მიმართებაში როგორც აღინიშნა, 4 დავალება ფასდება შესრულების პროცესში, ხოლო შემდეგ ფასდება პროდუქტი.

საბჭოს თავმჯდომარემ ნინო ბაბალაშვილმა მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, რომ სასურველი იქნებოდა შეფასება ჩაშლილიყო კრიტერიუმებად, თუ როგორ იქნებოდა ქულობრივად შეფასებული თითოეული კომპონენტის შეფასება, რა შემთხვევაში ჩაითვლებოდა დავალება შესრულებულად.

დაწესებულების წარმომადგენელმა ამასთან დაკავშირებით განმარტა, რომ ვინაიდან შეკერილი კოსტუმები არ არის სერიული ნაწარმი, თავიდან ბოლომდე აქ ნაჩვენებია შესასრულებელი დავალების შეთავაზებული ვარიანტები, მაგ: ქართული კაბა, ხევსურული კაბა, რაჭული კაბა, დუხობორების ნაციონალური კოსტუმი და ა.შ. თუ რომელიღაც სპექტაკლს დაჭირდება რომელიმე კოსტუმი, იკერება ამის გათვალისწინებით. ასევე შემუშავებულია შეფასების სქემა, სადაც შეფასება ქულობრივად კი არ ხდება, არამედ კრიტერიუმების შეფასება ხდება „კარგი“, „დამაკმაყოფილებელი“ და „არადამაკმაყოფილებელი“, ფასდება ის კონკრეტული კომპონენტები, რაც გაწერილია კრიტერიუმში. მან დასძინა, რომ მარეგულირებელ დოკუმენტებში ეს მაჩვენებელი თანხვედრაშია ქულობრივ სისტემასთან.

მან ასევე წარმოადგინა ბაზიდან ამოღებული უწყისი, სადაც შეყავს განმახორციელებელს შეფასებები, ამის შემდეგ დგება ოქმი, სადაც უკვე საბოლოო, ფინალური შედეგებია

დაფიქსირებული. ოქმში არის დაფიქსირებული ქულა, სერტიფიკატის ნომერი, შემდეგ ეს ყველაფერი გადაეცემა სერტიფიკატის გაცემისთვის შესაბამის სერტიფიკატის გამცემ უწყებას. ეს ის დოკუმენტებია, რაც წარმოდგენილი იქნა ექსპერტებთან ვიზიტის დროს.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, იმასთან დაკავშირებით, რომ ნამუშევრებით, რაც ვიზიტის დროს ნახეს ექსპერტებმა, ვერ მოხდა შემსრულებლის/კონკრეტული მსმენელის იდენტიფიცირება და ითხოვა დამატებითი განემარტათ ამასთან დაკავშირებით, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არის ნამუშევრების ჩამონათვალი, თითოეული ნამუშევარი არ იკერება ინდივიდუალურად, ჯგუფური ნამუშევარია, შეიძლება ჯგუფში იყოს 2-ზე მეტი მსმენელი მაგ. აქსესუარის შესრულების შემთხვევაში.
ნინო ბაბალაშვილმა აღნიშნა, რომ შეფასების პროცესი ამ მიდგომით ცოტა ბუნდოვანი ხდება. მნიშვნელოვანია განმსაზღვრელი შეფასების ეტაპზე ნათლად ხდებოდეს კონკრეტული მსმენელის ნამუშევრის იდენტიფიცირება, რის საფუძველზეც გაიცემა სახელმწიფოს მიერ აღიარებული სერტიფიკატი.
ამის შემდეგ ისაუბრა დაწესებულების ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა გიორგი ხარებავამ, მან აღნიშნა, რომ ვინაიდან შეფასების ნაწილზე უკვე ისაუბრა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ის ისაუბრებდა სახანძრო უსაფრთხოებასთან დაკავშირებით და დასძინა, რომ უკვე დაწყებულია გარკვეული მოკვლევა, წერილიც გაგზავნილია შესაბამის უწყებაში, სახანძრო უსაფრთხოების სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის საკითხს უკვე შეუდგა დაწესებულება, მან თხოვა ფინანსურ მენეჯერს ირინა დვალს გაეზიარებინა საბჭოსთვის ეს დოკუმენტი და ასევე ესაუბრა იმ არგუმენტებზე, რის გამოც ეს დროულად ვერ გაკეთდა. მან ასევე აღნიშნა, რომ თავის დროზე ამ საკითხს ხელი შეუშალა იმან, რომ დაწესებულებაში მიმდინარეობდა რემონტი, შემდეგ ამას დაემთხვა პანდემია, ამასთან ერთად აღსანიშნავია, რომ ეს შენობა არის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი, სწორედ ამ ყველაფერმა ცოტა დახია უკან და ვერ მოესწრო ამ ყველაფრის დაჩქარებულ ტემპში გაკეთება, თუმცა დაწესებულების პირველი ამოცანა სწორედ ეს არის, რომ ვინაიდან არა მხოლოდ ეს პროგრამები და კონკრეტული ადგილი, რომელიც მნიშვნელოვანია სახანძრო უსაფრთხოების გათვალისწინების კუთხით, არამედ მთელ უნივერსიტეტს აქვს ეს პრობლემა (პირველ და მეორე კორსუსს), სწორედ დაწესებულების ინტერესში შედის ამ საკითხის მოგვარება და ძალიან მალე გაკეთდება.
მან ასევე ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ ნამდვილად არის დიდი მოთხოვნა ამ პროგრამებთან დაკავშირებით, დაწესებულებას კინოსტუდიასთან გვაქვს მემორანდუმი გაფორმებული, რომლის ფარგლებშიც მჭიდრო თანამშრომლობა იყო თავის დროზე დაგეგმილი და ახლაც მიმდინარეობს. როგორც მოგეხსენებათ, კინოსტუდია ფლობს ათეულობით ათას კოსტუმს, ზოგიერთი ისეთი ისტორიული კოსტუმია, რომელიც საჭიროებს რესტავრაციას, როგორც მან აღნიშნა, ამ კუთხითაც გაგრძელდება თანამშრომლობა. ასევე კინოსტუდიაში არის დეკორაციის ნაწილი, სადაც მხატვარ-დეკორატორები მუშაობენ, საკმაოდ მოცულობითია სხვადასხვა მიმართულება დეკორაციაზე მუშაობისა და პრაქტიკული ნაწილის გავლა იქაც შესაძლებელია, მსმენელები იქაც მიიღებენ გარკვეულ დამატებით უნარებს, ეს თავისთავად გაამრავალფეროვნებს მათ თვალსაწიერს და რეალურ გარემოში მათ ჩართულობას. დაწესებულება აპირებს კიდევ შემოიტანოს სხვა პროგრამები, რომლის აუცილებლობაც არის საქართველოს ბაზარზე, ბოლოს მანაც მადლობა გადაუხადა ექსპერტებს გაცემული მათთვის მნიშვნელოვანი რეკომენდაციებისთვის, და დასძინა, რომ სხვა პროგრამების შემუშავების შემთხვევაშიც ეს რეკომენდაციები გათვალისწინებული იქნებოდა.
საბჭოს თავმჯდომარემ ნინო ბაბალაშვილმა აღნიშნა, რომ ცალსახად ბოლო ორ პროგრამაში ფიქსირდება თითო ხარვეზი, რაც, დასაშვებს ხდის დაწესებულებას ხარვეზის გამოსასწორებლად მიეცეს ერთ თვიანი გამოსწორების ვადა, თუ რა თქმა უნდა, ამას საბჭოს წევრების უმრავლესობა დაუჭერს მხარს. ამაზე იმსჯელებს საბჭო და მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებას.

ნანი დალაქიშვილმა მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, სახანძრო უსაფრთხოებასთან დაკავშირებით, დაეფიქსირებინათ არის თუ არა ერთი თვე გონივრული ვადა ხარვეზის გამოსასწორებლად, ვინაიდან უნდა გაკეთდეს დასკვნა საგანგებო სიტუაციების სამსახურის მიერ, ან ახალი მიწერილობა, სადაც გაწერილი იქნება ახალი შესრულების ვადები.
ამასთან დაკავშირებით დაწესებულების ფინანსურმა მენეჯერმა ირინა დვალმა აღნიშნა, რომ - ცენტრშიწარმოდგენილი მიწერილობა არის 2019 წლის, იმ 14 რეკომენდაციიდან, რაც გაწერილია იწერობის დოკუმენტში 2 არის შეუსრულებელი, ორივე სისტემური ხასიათისაა, აღსანიშნავია, რომ პანდემიის დაწყებამ შეანელა ეს პროცესები.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ირინა დვალს, ჰქონდათ თუ არა იმის მოლოდინი, რომ ეს პრობლემა ერთ თვეში მოგვარდებოდა, რაზეც ირინა დვალმა აღნიშნა, რომ პროცესის გარკვეული ნაწილი უკვე მოწესრიგებული აქვს დაწესებულებას, კომპანიები, რომლებსაც ეს სერვისი უნდა შეესრულებინათ მოძიებული იყო 2018, 2021 წლებში, თუმცა ეს პროცესები დიდ ფინანსებთან არის დაკავშირებული და კურატორი ორგანიზაციიდან ელოდებოდა დაწესებულება ამ საკითხის მოგვარებას, რაღაც ეტაპი გავლილია. წერილი უკვე გაგზავნილი აქვს დაწესებულებას.
ნანი დალაქიშვილმა დამაზუსტებელი შეკითხვა დაუსვა დაწესებულების წარმომადგენელს, მან აღნიშნა, რომ მიღებული გამოცდილებიდან გამომდინარე, როგორც ირკვევა ფინანსები ჯერ არ არის გამოყოფილი ასევე ტენდერის პროცედურა იქნება მოსაგვარებელი, ამ ყველაფრის შემდეგ ახალი დასკვნა დასაწერი, რაც ერთ თვეში ვერ მოესწრება, იქნება მოხერხდეს, 2019 წლის დასკვნაში გაიწერა 14 პუნქტის გამოსწორების ვადა 2020 წლამდე, ამ თოთხმეტიდან დარჩა ორი ღონისძიება გამოსასწორებელი, თუმცა ვადა გასულია, იქნება დაწესებულებამ ახალი მიწერილობა გააკეთოს, რაც ნიშნავს იმას, რომ ახალი ვადა გაიწეროს შესასრულებელი ღონისძიებებისთვის, ამას თუ წარმოადგენს დაწესებულება, ესეც იქნება გამოსავალი.
საბჭოს თავმჯდომარემ დასძინა, რომ ეს შეეხებოდა ბოლო ორ პროგრამას, სადაც ერთი ქვესტანდარტის ფარგლებში ფიქსირდებოდა ხარვეზი. ბოლოს მან აღნიშნა, რომ პირველი-ორი პროგრამის შემთხვევაში, სადაც, სამწუხაროდ, ექსპერტთა დასკვნაში ორი სტანდარტის დარღვევა ფიქსირდება, მთავრობის №131 დადგენილება არ იძლევა შესაძლებლობას, ხარვეზის გამოსასწორებლად დაწესებულებას მიეცეს ერთი თვის ვადა, თუმცა საბჭო კიდევ იმსჯელებს.
საბჭოს სხდომაზე მსჯელობის დასრულების შემდეგ საბჭო გავიდა სათათბიროდ.
სათათბიროდან დაბრუნების შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, რომ იზიარებდა საბჭო დაწესებულების არგუმენტაციას და ახსნა-განმარტებას, იმის შესახებ, რომ უკვე შექმნილია სამუშაო ჯგუფი და დაწყებულია პროცესები ხარვეზების გამოსასწორებლად, თუმცა ამ მომენტისთვის, დასკვნაში ასახული არსებული ფაქტობრივი მონაცემით, ორი პროგრამაში დარღვეულია ორი ქვესტანდარტი/სტანდარტი, განსხვავებით ბოლო ორი პროგრამისა. შეიძლება დაწესებულებას დაებადოს კითხვა, თუ რატომ არის ერთიდაიგივე ქვესტანდარტი (1.10- შეფასების სისტემა) ორი პროგრამაში დარღვეული და ორში კი დადებითად შეფასებული. ამ ორი პროგრამის შემთხვევაში საბჭო დაეყრდნო დასკვნაში აღწერილ ინფორმაციას, რომ ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტისას დაწესებულების მხრიდან წარმოდგენილი იყო დამატებითი დოკუმენტი და გასაუბრების დროს დაუსაბუთეს ექსპერტებს პროგრამის ხელმძღვანელებმა შეფასების სისტემასთან დაკავშირებით, ამდენად ამ შემთხვევაში ექსპერტებმა დადებითად შეაფასეს 1.10 ქვესტანდარტი. ასევე, აღნიშნული ინფორმაცია კიდევ ერთხელ დაადასტურა სხდომაზეც ექსპერტთა ჯგუფმა. აქედან გამომდინარე, ბოლო ორი პროგრამის შემთხვევაში საბჭომ გადაწყვიტა კენჭისყრაზე დააყენოს საკითხი ერთთვიანი გამოსწორების ვადის მიცემაზე. რაც შეეხება პირველ და მეორე პროგრამას, აქ ცალსახად ორი სტანდარტი არის დარღვეული და საბჭოს წევრებმა გადაწყვიტეს, რომ №131 დადგენილების თანახმად ამ ორ პროგრამაზე კენჭისყრა მოხდება მიენიჭოს თუ არ მიენიჭოს განხორციელების უფლება და რასაკვირველია შედეგი იქნება ცნობილი ხმათა უმრავლესობის საფუძველზე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები, საბჭოს წევრებს დამატებითი კითხვები არ ჰქონდათ.
ამის შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის „თეატრალური კოსტუმის მკერავი“ /01518/ პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

**კენჭისყრის შედეგები:**
**მომხრე: 1**
**წინააღმდეგი: 9**

**გადაწყვეტილება:**
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, "პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ბ) ქვეპუნქტის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტს (ს/კ: 203851028) უარი ეთქვას განახორციელოს პროფესიული გადამზადების პროგრამა - „თეატრალური კოსტუმის მკერავი“ /01518/.
გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2023 წლის 10 თებერვალი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის „თეატრალური კოსტუმის აქსესუარისა და ქვილთის სპეციალისტი“ /01517/ პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

**კენჭისყრის შედეგები:**
**მომხრე: 1**
**წინააღმდეგი: 9**

**გადაწყვეტილება:**
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, "პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ბ) ქვეპუნქტის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტს (ს/კ: 203851028) უარი ეთქვას განახორციელოს პროფესიული გადამზადების პროგრამა - თეატრალური კოსტუმის აქსესუარისა და ქვილთის სპეციალისტი /01517/.
გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2023 წლის 10 თებერვალი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის „მხატვარ-დეკორატორი“ /01321/ პროფესიული მომზადების პროგრამის ხარვეზის გამოსასწორებლად ვადის განსაზღვრის შესახებ საკითხი

**კენჭისყრის შედეგები:**
**მომხრე: 10**
**წინააღმდეგი: 0**

**გადაწყვეტილება:**
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, "პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის დ) ქვეპუნქტის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტს (ს/კ: 203851028) განესაზღვროს საბჭოს სხდომიდან 30 კალენდარული დღის ვადა პროფესიული მომზადების პროგრამის - მხატვარ-დეკორატორი /01321/ - ხარვეზის გამოსასწორებლად.
გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2023 წლის 10 თებერვალი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის „მხატვარ-გრიმიორი“ /01519/ პროფესიული მომზადების პროგრამის ხარვეზის გამოსასწორებლად ვადის განსაზღვრის შესახებ საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**
**მომხრე: 10**
**წინააღმდეგი: 0**

**გადაწყვეტილება:**
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, "პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის დ) ქვეპუნქტის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტს (ს/კ: 203851028) განესაზღვროს საბჭოს სხდომიდან 30 კალენდარული დღის ვადა პროფესიული მომზადების პროგრამის - მხატვარ-გრიმიორი /01519/ - ხარვეზის გამოსასწორებლად.
გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2023 წლის 10 თებერვალი.

კენჭისყრის დასრულების შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს კიდევ ერთხელ ყურადღებით გადაეხედათ რეკომენდაციებისთვის, რაც ეხებოდა შიდა რეგულაციებს და მოეყვანათ შესაბამისობაში.
მან ასევე დასძინა მტკიცებულებებთან დაკავშირებით და თხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს საბოლოო ნამუშევრები ყოფილიყო იდენტიფიცირებადი, ასევე იგი შეეხო ხარისხის გაუმჯობესების მიზნით კითხვარების გაუმჯობესების საკითხს და წარმატებები უსურვა დაწესებულებას.

საბჭოს სხდომა დასრულდა: 16:55 საათზე

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბაბალაშვილი ნინო

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს მდივანი
ზაქარეიშვილი მარიკა

**დანართი 1**

| **პროგრამის კოდი** | **პროგრამის დასახელება** | **პროგრამის სახე** | **ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე** | **პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში** | **სწავლების ენა** | **მსმენელთა ზღვრული რაოდენობა** | **პროგრამის განხორციელების ადგილი** |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 01503 | ვაზის გაშენება და მოვლა | პროფესიული მომზადება | მესამე | 17 | ქართული | 40 | წყალტუბოს მუნიციპალიტეტი, სოფ. ქვიტირი, I ქუჩა №207 |

**დანართი 2**

| **პროგრამის კოდი** | **პროგრამის დასახელება** | **პროგრამის სახე** | **ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე** | **პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში** | **სწავლების ენა** | **მსმენელთა ზღვრული რაოდენობა** | **პროგრამის განხორციელების ადგილი** |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 01502 | ბოსტნეული კულტურის მოყვანა და მოვლა | პროფესიული მომზადება | მესამე | 13 | ქართული | 40 | წყალტუბოს მუნიციპალიტეტი, სოფ. ქვიტირი, I ქუჩა №207 |

**დანართი 3**

| **პროგრამის კოდი** | **პროგრამის დასახელება** | **პროგრამის სახე** | **ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე** | **პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში** | **სწავლების ენა** | **მსმენელთა ზღვრული რაოდენობა** | **პროგრამის განხორციელების ადგილი** |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 01504 | მოცვის ბაღის გაშენება და მოვლა | პროფესიული მომზადება | მესამე | 10 | ქართული | 40 | წყალტუბოს მუნიციპალიტეტი, სოფ. ქვიტირი, I ქუჩა №207 |